სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ირაკლი ზურაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ჩემო ამომრჩევლებო,

მოგეხსენებათ, რომ უკვე სამი წელია არჩეული ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს წევრად. ამავე პერიოდიდან, საკრებულოს პირველმა სხდომამ გამომიცხადა უდიდესი ნდობა და ამირჩია საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარედ, ხოლო საფინანსო - საბიუჯეტო კომისიაში წევრად.

საკრებულოს წევრად ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, ვესწრებოდი 16-ს. აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა, როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი ვიყავი 6 საკითხზე, ხოლო - თანამომხსენებელი 16 საკითხზე.

ჩატარდა საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება“ 10 სხდომა, ვესწრებოდი 10-ს.

როგორც მოგახსენეთ, საკრებულოში ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 9 წევრით. ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა კომისიის 10 სხდომა, სადაც განხილულ იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საკითხები.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო კანონმდებლობის შესაბამისად ანხორციელებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს კონტროლს. ამ მიზნით ჯერ კომისიამ, ხოლო შემდგომში საკრებულომ მოისმინა და შეაფასა ა(ა).ი.პ. ,,კომუნალური“ 1 -ის დირექტორის მ/შ ბერდო ასანიშვილის 2023 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მოისმინა და შემდგომში მუნიციპალიტეტის საკრებულოზე მხარდაჭერილი იქნა მერის ინიცირებული პროექტები: 1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ; 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ აქტიურად იმუშავა მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკრებულოში შემოსულ ინიციატივაზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვ. მაჩხაანი, საქობო, მაშნაარი, ხირსა, ხორნაბუჯი, ყარაღაჯი, ილიაწმინდა) გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდების შესახებ. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავებული გრაფიკით განხორციელდა სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, რათა მათთან უშუალო კონსულტაციით ვუზრუნველვყოთ მოქალაქეთა ინტერესის გამოხატვა და აქტიური მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში. ამჟამად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის 16 სოფელში გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩების) სახელდება ფაქტიურად დამთავრებულია.

საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი იქნა ჩემი ინიციატივა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველი ანაგის „პოეტების“ ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და მისთვის „თემურ ჩალაბაშვილის“ სახელის მინიჭების შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ვარ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრიც. საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე კომისიის 12 სხდომაში, მომზადდა კომისიის მიერ შესაბამისი დასკვნები, რომელიც წარედგინა საკრებულოს ბიუროს.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი მათ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. მაგალითად, მუდმივად ვახდენ მათი პრობლემებიდან პრიორიტეტული საკითხების წამოწევას წინა პლანზე, რაც ძირითადად ეხება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებას, ჯანდაცვის საკითხებს, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სარწყავი სისტემის სრულყოფასა და გამართულ მუშაობას, სოფელში სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ.ძვ.ანაგაში ისარგებლა 91 მოქალაქემ და მათზე დაიხარჯა 30155 ლარი. კერძოდ:

1. სამედიცინო დახმარება (52 ბენეფიციარი) – 21630 ლარი;
2. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დახმარება (6 ბენეფიციარი)- 1700 ლარი;
3. შშმ პირთა სოციალური დახმარება (5 ბენეფიციარი) – 1000 ლარი;
4. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (26 ბენეფიციარი) – 4600 ლარი;
5. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დახმარება (1 ბენეფიციარი) –200 ლარი;
6. სოციალურად დაუცველი სტუდენტების თანადაფინანსება (1 ბენეფიციარი)- 1025 ლარი.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ჩვენი კოორდინირებული მუშაობით სოფელში სტაბილურად ხორციელდება მცირე პროექტები:

1. აქტიურად მიმდინარეობს ქუჩებში არსებული ძველი სანიაღვრე სისტემების გაწმენდა და შიდა სასოფლო გზის ნაპირების სისუფთავეზე კონტროლი;
2. ითიბება სავალი გზების გვერდულები;
3. პერიოდულად მიმდინარეობს ქედლის სკვერისა და მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილთა მემორიალის დასუფთავება;
4. სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამით მიმდინარეობს სოფლის სასაფლაოების ტერიტორიის გაწმენდა და მოვლა-პატრონობა;
5. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარაგულებამდე მისასვლელი გზების მოხრეშვა;
6. განხორციელდა სარწყავი სისტემის სრულყოფის სამუშაოები. 2024 წელს სარწყავი სისტემით აღიჭურვა 2,5 კმ-ის სიგრძის მონაკვეთი.

სოფ. ძველ ანაგაში 2024 წელს დასრულებული და მიმდინარე პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 6090113 ლარს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 2024 წელს დასრულდა „იაკობ გოგებაშვილისა“ და „წმინდა გიორგის“ ქუჩების კვეთაზე, სკვერისა და საბავშვო გასართობი ატრაქციონების მოწყობა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 62997 ლარი.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში, რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით (371664 ლარი), დასრულდა ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, რაც ითვალისწინებს 50/25 მ-ზე ფეხბურთისა და კალათბურთის სათამაშო სივრცეს, 100 მაყურებელზე გათვლილ ტრიბუნასა და სათადარიგო მოთამაშეთა მოსაცდელ სივრცეს.

როგორც მოგეხსენებათ, სოფელში მიმდინარეობს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული ევროსტანდარტების შესაბამისი 80 აღსაზრდელზე გათვლილი სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მშენებლობა, რომელიც დასრულების პროცესშია.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, სოფელში შესასვლელი გზის ორივე მხარეს, 1 კმ-იან მონაკვეთზე, დაირგვება 370 ძირი დეკორატიული ნეკერჩხლის ჯიშის ნერგი(41000 ლარი). მიმდინარეობს გამწვანების სამუშაოების შესყიდვის პროცესი.

2024 წლის ოქტომბერში დაიწყო ძველი ანაგა-ტიბაანის დამაკავშირებელი, ბეტონის საფარიანი გზის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული პროექტი ხორციელდება რეგიონული ფონდის დაფინანსებით (2280821 ლარი), რომელიც დასრულდება 2025 წლის მეორე კვარტალში. აღნიშნული საკმაოდ შეამცირებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტს.

მოგახსენებთ, რომ სოფელში ახალი სტადიონის მიმდებარედ დაგეგმილია რეკრეაციული სივრცის მოწყობა, რაც გულისხმობს თანამედროვე საბავშვო-გასართობი სივრცის, სატრენაჟორო სივრცის, დამატებით მინი საფეხბურთო მოედნის, ფრენბურთის მოედნის, სასეირნო ბილიკების, შადრევანისა და გამწვანების მოწყობას. ასევე, აღნიშნულ სივრცეზე მოეწყობა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ საფეხბურთო სკოლა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტირება. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1500000 ლარს.

საბავშვო ბაღისთვის, ძველი სტადიონის მოედანზე დაგეგმილია საბავშვო-გასართობი სივრცის მოწყობა. მიმდინარეობს აღნიშნულთან დაკავშირებით სამუშაოების დაპროექტება. პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 700000 ლარს.

როგორც საკრებულოს წევრი და როგორც კომისიის თავმჯდომარე, ვთანამშრომლობ მუნიციპალიტეტის მერთან, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, მერის წარმომადგენელთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, რომელთაც თქვენი სახელით მინდა მადლობა გადავუხადო სოფელში საანგარიშო პერიოდში განხორციელებული, ამჟამად მიმდინარე, დაუსრულებელი პროექტებისთვის და ვთხოვო, ანალოგიური მხარდაჭერა მომავალშიც. მიმაჩნია, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, საქმიანობა.

ირაკლი ზურაშვილი